21/05/2026

MES 0 26 0000590463

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 08.05.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:05
სხდომის დამთავრების დრო: 15:02
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე (I, II, III, IV, V, VI საკითხი)
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი (VII, VIII, IX საკითხი)
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
6. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;

7. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
8. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
9. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
10. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
11. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
12. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
13. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
14. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
15. **ბონდო გასვიანი** - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ანა ჯუღელი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- ზურაბ ზურაბაშვილი - რექტორის მოადგილე;
- ლევან მიდოდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ქეთევან ბარბაქაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
- გიორგი ხორბალაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
- მარიამ კობერიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ზურაბ ჩხიკვაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- ქეთევან ლატარია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ნინო მაქაცარია - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- სალომე თათულიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

- ზაალ კიკვიძე - I, II და III საკითხი;
- ნინო პოპიაშვილი - I, II და III საკითხი;
- ეკატერინე ბაკარაძე - IV და V საკითხი;
- ეკატერინე ფიფია - IV და V საკითხი;
- დავით სიხარულიძე - VI საკითხი;
- ზურაბ აზნაურაშვილი - VII, VIII და IX საკითხი.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
2. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული სალიტერატურო ენის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
3. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
4. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
5. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
6. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მცირე ბიზნესის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
არა კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
2. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული სალიტერატურო ენის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
3. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
4. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
5. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
6. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მცირე ბიზნესის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას I, II, III, IV, V და VI საკითხების განხილვის დროს უხელმძღვანელა ლევან შავაძემ, ხოლო VII, VIII და IX საკითხების განხილვის დროს სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულა ქეთევან აფთარაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

პირველი საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ქართული ფილოლოგია;
2. **საფეხური** - ბაკალავრიატი;
3. **სწავლების ენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 240.

მეორე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული სალიტერატურო ენის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ქართული სალიტერატურო ენა;
2. **საფეხური** - მაგისტრატურა;
3. **სწავლების ენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 120.

მესამე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ქართული ლიტერატურა;
2. **საფეხური** - მაგისტრატურა;
3. **სწავლების ენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ქართული ლიტერატურის მაგისტრი;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 120.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა თეა მჭედლურმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

იმის გათვალისწინებით, რომ სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო, „ქართული სალიტერატურო ენის“ და „ქართული ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ გადაწყვიტა, რომ სამივე წარმოება განეხილათ ერთი მოსმენის ფარგლებში.

პირველი, მეორე და მესამე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ზაალ კიკვიძემ აღნიშნა, რომ სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო, „ქართული სალიტერატურო ენის“ და „ქართული ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება მილევად რეჟიმში და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით.

საბჭოს წევრმა, მაქსიმ იავიჩმა დატოვა საბჭოს სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან მიდოდაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე დაინტერესდა სამივე განსახილველ პროგრამასთან მიმართებით, ექსპერტების მიერ გაცემულ შემდეგ რჩევასთან დაკავშირებით: "კარგი იქნება, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიმუშავებს სწავლის შედეგების შეფასების შესაბამის დოკუმენტს, რომელიც დაეფუძნება აკრედიტაციის სახელმძღვანელოში რეკომენდებულ მეთოდოლოგიას." კერძოდ, მან დაწესებულებისგან მოითხოვა დაზუსტება, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მსგავსი დოკუმენტი, ან მსგავსი სახის ინფორმაცია, რადგან მან დასკვნიდან ნათლად ვერ ამოიკითხა ამ მიმართულებით პრობლემატიკა. ასევე, საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ „ქართული ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან: "რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ლიტერატურა“ მიზნები და სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში და პროგრამის სწავლის მიზნებში აისახოს ქართული ლიტერატურის განხილვა-გაანალიზება მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.", დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას, მისი თქმით, რეკომენდაციაში საუბარია იმაზე, რომ ლიტერატურის განხილვა-გაანალიზება უნდა მოხდეს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში, თუმცა შემდეგ იგივე მეორდება რჩევაშიც. მას აინტერესებდა, რამდენად პრობლემური იყო ეს საკითხი და ექსპერტებმა საბოლოოდ ამ მიმართულებით რჩევა გასცეს თუ რეკომენდაცია.

ექსპერტის, ნინო პოპიაშვილის განმარტებით, ქართული ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლით, განსაზღვრულია სხვადასხვა მიმართულებით ენისა და ლიტერატურის სწავლების მინიმალური სტანდარტი და მათ შორის ეს ეხება ქართულ ლიტერატურის სწავლებას მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. ექსპერტის თქმით, "ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებული იყო მანამ, სანამ დარგობრივი მახასიათებელი შევიდოდა ძალაში, შემდეგ კი გადავადდა პროგრამის აკრედიტაციის ვადა, ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფმა საჭიროდ ჩათვალა, რომ გარდა კლასიფიკატორთან შესაბამისობისა, პროგრამა შეედარებინათ ყველა სავალდებულოდ შესასრულებელ რეგულაციებს. ექსპერტის, ნინო პოპიაშვილის თქმით, პროგრამა გამართულია ამ მიმართულებით, თუმცა ცალკეულ საკითხებში შეინიშნება გასაუმჯობესებელი მხარეები, რაც რეკომენდაციებში ასახეს. რაც შეეხება რჩევას, ნინო პოპიაშვილის განმარტებით, ეს საკითხები არის სხვადასხვა სასწავლო კურსის სხვადასხვა თემაში ასახული. ექსპერტთა რჩევით კარგი იქნება თუ ერთი სასწავლო კურსი მიეძღვნება ამ საკითხს - ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში განხილვა - გაანალიზებას, მაგრამ თუ დაწესებულება გადაწყვეტს, რომ ცალ-ცალკე სასწავლო კურსებში იყოს აღნიშნული საკითხები, ესეც შესაძლებელია დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით.
დაწესებულების წარმომადგენლის, ლევან მიდოდაშვილის განმარტებით, უნივერსიტეტში არსებობს მექანიზმი სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით და ეს პროცესები ნამდვილად მიმდინარეობს. მისი თქმით, "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 2022 წელს დარგობრივ მახასიათებელთან მოვიდა შესაბამისობაში და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა მიბმული არის 2022 წლის მიღებასთან და მიმდინარე წელს უწევს პირველი შეფასების პროცესი. რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამებს, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის შედეგების შეფასების დანიშნულება არის ის, რომ ვნახოთ შედეგი და გამოვიყენოთ პროგრამის განხორციელების გაუმჯობესებისთვის. მისი თქმით, როდესაც ერთი ან ორი სტუდენტი ჰყავს პროგრამას, ეს ვერ მოგცემს სრულ სურათს, რადგან სტატისტიკური ვალიდობა არის ძალიან დაბალი. რეალურად, ეს მექანიზმი არსებობს და ფილოლოგებთან საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებაში განხორციელდება მიმდინარე წელს. არსებობს ასევე სპეციალური დოკუმენტი, სადაც მითითებულია საკვანძო სასწავლო კურსები, რომელშიც ხდება სწავლის შედეგების შეფასება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:22
დასრულების დრო: 14:26

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყვეტის და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და დაწესებულებას დაავალა მათი შესრულება მომავალი აკრედიტაციის პროცესისთვის.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული სალიტერატურო ენის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყვეტის და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული სალიტერატურო ენის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაცია და დაწესებულებას დაავალა შესრულება მომავალი აკრედიტაციის პროცესისთვის.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყვეტის და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 2^5-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და დაწესებულებას დაავალა მათი შესრულება მომავალი აკრედიტაციის პროცესისთვის.

მეოთხე საკითხი: სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ინგლისური ფილოლოგია;
2. **საფეხური** - ბაკალავრიატი;
3. **სწავლების ენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0231 ენის დაუფლება;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 240.

მეხუთე საკითხი: სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ინგლისური ფილოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ინგლისური ფილოლოგია;
2. **საფეხური** - მაგისტრატურა;
3. **სწავლების ენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0231 ენის დაუფლება;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 120.

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

- **არა**

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა თეა მჭედლურმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

იმის გათვალისწინებით რომ სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო და „ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შეისწავლა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ გადაწყვიტა, რომ ორივე საკითხი განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში.

მეოთხე და მეხუთე საკითხების ზეპირი მოსმენა.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა მაქსიმ იავიჩი.

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ეკატერინე ბაკარაძემ აღნიშნა, რომ განსახილველი საგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით. საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში სამივე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია" სტანდარტის მოთხოვნებთან და გაიცა მხოლოდ ერთი რეკოენდაცია ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, რომელიც დაწესებულებამ უკვე შეასრულა. რაც შეეხება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა პირველ და მეოთხე სტანდართან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია" სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია" სტანდარტის მოთხოვნებთან. ექსპერტა მხრიდან აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით გაიცა 4 რეკომენდაცია, რომლებიც დაწესებულებამ გაიზიარა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან მიდოდაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ფაქტობრივ საკითხებთან მიმართებით მათ გაიზიარეს ექსპერტთა დასკვნა. დაშვების წინაპირობებთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ დაწესებულება აღარ აპირებს აღნიშნულ პროგრამაზე მიღების გამოცხადებას. ხოლო რეკომენდაციას, რომელიც მიემართება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას, დაწესებულება არ იზიარებს, ვინაიდან არ არის მითითებული არც ერთი ნორმატიული აქტი რომელსაც ის ეწინააღმდეგება.

აკრედიტაციის ექსპერტმა, ეკა ფიფიამ დამატებით აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით, ექსპერტების მოსაზრებით, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ აპლიკანტი შეამოწმოს სპეციალობაში და საბოლოო ჯამში დადგინდეს აპლიკანტის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსთან. რაც შეეხება კურიკულუმის რუკას, მისი თქმით, აქ იგულისხმება საგნების შესაბამისობა მიზნებთან და სწავლის შედეგებთან, რადგან არსებობს შეუსაბამობები, მაგალითად, სწავლის შედეგი, რომელიც არ მოიცავს ამ საგნის გარკვეულ კონკრეტიკას არის მითითებული და მითითებულია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, თუმცა დეტალურად არ არის გაწერილი რა იგულისხმება. მან ასევე აღიშნა, რომ ისინი იზიარებენ დაწესებულების პოზიციას რაოდენობასთან დაკავშირებით და ისინი არ ითხოვენ სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტს, თუმცა ისინი ითხოვდნენ მეთოდოლოგიას თუ როგორ უნდა შეფასდეს სწავლის შედეგები. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ნაწილს, მან აღნიშნა, რომ მსგავსი რეკომენდაცია ქონდათ განათლებლის პროგრამების კლასტერთან მიმართებით სხვა საბჭოს სხდომაზე და ეს რეკომენდაციები მაშინ საბჭომაც გაიზიარა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წერვმა, ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ მან ყურადღებით შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები და რჩევები და მისი მოსაზრებით, რჩევები საკმაოდ სერიოზულია რადგან ეხება პროგრამის მიზნებს. მას აინტერესებდა რის საფუძველზე არის გაცემული ისეთი რჩევა, როგორიცაა - მკაფიოდ უნდა იყოს მითუთებული სამიზნე ენობრივი კომპეტენციები - როცა პროგრამაში ეს ისედაც არის უკვე მითითებული.

ექსპერტის, ეკატერინე ბაკარაძის განმარტებით, აღნიშნული წარმოების ფარგლებში, რომელიც ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამების ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენას, ექსპერტები შეზღუდულები იყვნენ შეფასების ფარგლებით, და შესაბამისად ბევრი ის რჩევა, რომელიც ალბათ სხვა წარმოების ფარგლებში სავარაუდოდ გაიცემოდა რეკომენდაციის სახით, ამ ეტაპზე გაიცა როგორც რჩევა. მისი თქმით, ექსპერტებმა იხელმძღვანელეს დარგობრივი მახასიათებლით, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წელს. მიუხედავად იმისა, რომ 2026 წელს დამტკიცდა ახალი დარგობრივი მახასიათებელი. ვინაიდან პროგრამები უფრო ადრე იყო შემოსული ცენტრში, ვიდრე განახლებული დარგობრივი მახასიათებელი დამტკიცდებოდა, ექსპერტებმა იხელმძღვანელეს ძველი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაცემულ რჩევასთან: "სასურველია, პროგრამის მიზანი უფრო კონკრეტულად და დიფერენცირებულად ჩამოყალიბდეს, ასახოს ძირითადი ფილოლოგიური სფეროები (ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, თარგმანმცოდნეობა) და მკაფიოდ მიუთითოს სამიზნე ენობრივი კომპეტენციის ნიშნული (B2+ ან FCE).", დაკავშირებით აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში აშკარად ჩანს, რომ პროგრამა გულისხმობს B2+ დონის მიღწევას. შესაბამისად, მას აინტერესებს რა იყო ექსპერტების მხრიდან აღნიშნული რჩევის გაცემის საფუძველი.

ექსპერტის, ეკატერინე ბაკარაძის განმარტებით, დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი მინიმალური სტანდარტი პროგრამაში გათვალისწინებულია, მეტნაკლებად თვითშეფასების დოკუმენტშიც ასახულია, რომ პროგრამაში მიზნები არ შეცვლილა, შესაბამისად რადგანაც ექსპერტებმა ჩათვალეს რომ დარგობრივი მახასიათებელით დადგენილი მინიმალური სტანდარტი გათვალისწინებული იყო და სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში ძირითადად გათვალისწინებული იყო მიმართულებები, როგორც ენის, ლიტერატურის და

თარგმანმცოდნეობის მიმართულებით, ექსპერტებმა აღნიშნულის საფუძველზე გასცეს შესაბამისი რჩევა.

ექსპერტმა, ეკატერინე ფიფიამ განმარტა, რომ მსგავსი ტიპის რეკომენდაცია გაცემულია სამაგიტრო პროგრამასთან მიმართებითაც, სადაც არ არის ენობრივი სამიზნე ნიშნული მითითებული და არც ის, რომ თარგმანთცოდნეობა და ლექსიკოგრაფია ზოგადად არის პროგრამის შინაარსით გათვალისწინებული, თუმცა ფოკუსი არ იკვეთება მკაფიოდ. შესაბამისად გაიცა რჩევა, რომ სამომავლოდ გააგრძელოს დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და მიზნების ერთმანეთთან მკაფიოდ დაკავშირება.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული რჩევა გაცემული იყო ბაკალავრიატის და არა მაგისტრატურის საფეხურის პროგრამასთან მიმართებით და ამიტომ გამოიწვია ბუნდოვანება აღნიშნულმა საკითხმა.
ექსპერტმა, ეკატერინე ფიფიამ განმარტა, რომ აღნიშნული რჩევა სამაგისტრო საფეხურის პროგრამასთან მიმართებით გაიცა, ხოლო საბაკალავრო საფეხურთან მიმართებით ტექნიკური ხარვეზია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:43
დასრულების დრო: 14:45

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყვეტის და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყვეტის და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეექვსე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მცირე ბიზნესის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - მცირე ბიზნესის მართვა;
2. **საფეხური** - მაგისტრატურა;
3. **სწავლების ენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრი;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 120.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა ვლადიმერ ადეიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა სრულად გაითვალისწინა, გამონაკლისს წარმოადგენს სამი რეკომენდაცია, რომლებიც ნაწილობრივ არის შესრულებული, მაგალითად ნაწილობრივ შესრულდა რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე წვდომა, რაც მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის. ასევე, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სასწავლო პროცესში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას, არა მხოლოდ SPSS-ს", მისი თქმით, კვლევის მეთოდების სასწავლო კურსში ექსელით სწავლება არ ფიქსირდება. უნივერსიტეტმა უზრუნველყო სტუდენტთა წვდომა ეროვნულ და საერთაშორისო სტატისტიკურ მონაცემთა წყაროებზე.
დაწესებულებამ ასევე, ნაწილობრივ შეასრულა შემდეგი რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, აკადემიურმა პერსონალმა და ხელმძღვანელებმა პრიორიტეტი მიანიჭონ და გაითვალისწინონ თავიანთი კვლევის შედეგების გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად მათ შორის, სამეცნიერო მონაცემები CA ან Scopus-ის იმპაქტ - ფაქტორის მქონე ჟურნალებში". მისი თქმით, დაწესებულება ახორციელებს გარკვეულ ღონისძიებებს აღნიშნული საკითხის მიმართ, თუმცა დებულებებში და კონკრეტულ დოკუმენტებში არ ფიქსირდება ის ინდიკატორები, რომლებიც იქნება სავალდებულო აკადემიური პერსონალისთვის, რათა გამოაქვეყნონ ისეთ მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებულია Scopus-სა და web of science-ში.
დაწესებულების მიერ ასევე ნაწილობრივ შესრულდა შემდეგი რეკომედაცია: "რეკომენდებულია, პროგრამის ძირითადი სასწავლო გეგმის კომპონენტში „საწარმოს ფინანსების“ სასწავლო კურსის შეტანა" - აღნიშნულ რეკომენდაციასთან მიმართებით (რომელიც შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესრულებული) დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ეს კურსი ფიქსირდება პროგრამაში, ოღონდ არჩევით სასწავლო ბლოკში, და არა ძირითადში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ლატარიამ აღნიშნა, რომ პროგრამის მილევადი რეჟიმისა და დაწესებულების ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ფონზე, ნამდვილად აღინიშნება პროგრსი ამ რეკომენდაციის შესრულებისა და დაწესებულების მიერ გადადგმული ნაბიჯი და სტრატეგია მიაჩნიათ გამართლებულად. განათლების რეფორმის შედეგად დაწესებულების პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა აგრარული მიმართულება, ტურიზმი და პედაგოგიკა, შესაბამისად ეს პროგრამა მილევად რეჟიმში აღმოჩნდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ლატარიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს ინტერდისციპლინური კვლევითი ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის მართვის პროგრამის აკადემიური პერსონალის ინტეგრირებას ტურიზმის მიმართულებით. დაწესებულებამ განსაზღვრა ბევრი წამახალისებელი და მხარდამჭერი ღონისძიება, რომ ადაკემიური პერსონალის მიერ მოხდეს რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება. ერთი წლის თავზე რთული იყო რიცხობრივად ეჩვენებინათ რა კვლევითი სტატიები იყო გამოქვეყნებული, თუმცა შეიძლება ითქვას რომ, პროგრამის ხელმძღვანელის და რამდენიმე აკადემიური პერსონალის მიერ უკვე ფიქსირდება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნება. მან ასევე დაამატა, რომ სამინისტროს ხელშეწყობით დაწესებულებაში ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც უცხოური უნივერსიტეტები იღებენ მონაწილეობას. მან ასევე აღნიშნა, რომ აქვთ მემორანდუმი პენსილვანიის უნივერსიტეტთან და ისინიც აქტიურად არიან ჩართულები აღნიშნულ კონფერენციასა თუ სხვა აქტივობებში.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო მაქაცარიამ აღნიშნა, რომ „საწარმოს ფინანსების“ სასწავლო კურსი პროგრამაში შეტანილია როგორც არჩევითი კურსი, რაც განპირობებულია იმით, რომ მაგისტრატურის აღნიშნულ პროგრამაზე ჩაბარება შეუძლია სხვა დარგის ბაკალავრს, რომელსაც შეიძლება არ ქონდეს საბაზისო ცოდნა ფინანსების მიმართულებით და აქედან გამომდინარე უფრო ოპტიმალური იქნებოდა „საწარმო ფინანსების“ არჩევით კურსად განსაზღვრა პროგრამაში. ასევე, მან აღნიშნა, რომ სილაბუსში არ არის შეტანილი, მაგრამ ისინი იყენებენ მონაცემების დამუშავებაში ისეთ პროგრამებს, როგორიცაა Stata და Microsoft Excel, რომლებიც ასევე ჩაშენებულია დაწესებულების სივრცეებში არსებულ კომპიუტერებში და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:55
დასრულების დრო: 14:56

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მცირე ბიზნესის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მცირე ბიზნესის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

სხდომა დატოვა დავით კაპანაძემ.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - საჯარო მმართველობა;
2. **საფეხური** - ბაკალავრიატი;
3. **სწავლების ენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საჯარო მმართველობის ბაკალავრი;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 240.

მერვე საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ბიზნესის ადმინისტრირება;
2. **საფეხური** - ბაკალავრიატი;
3. **სწავლების ენა** - ქართული;

4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 180.

მეცხრე საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ბიზნესის ადმინისტრირება;
2. **საფეხური** - მაგისტრატურა;
3. **სწავლების ენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 120.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადეს ლევან შავაძემ და თეა მჭედლურმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე, მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულა ქეთევან აფთარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

იმის გათვალისწინებით რომ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო და „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ შესრულებული ანგარიშები შეისწავლა ერთმა ექსპერტმა, საბჭომ გადაწყვიტა, რომ სამივე საკითხი განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში.

მეშვიდე, მერვე და მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტის პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ზურაბ აზნაურაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ სამივე საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაცემული ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელს არ ჰქონდა დამატებითი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:59
დასრულების დრო: 15:01

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11]პუნქტის საფუძველზე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 15:02 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე